

## ინსტრუქცია

მსოფლიოში გავრცელებული ახალი კორონავირუსის (COVID - 19) პოტენციური რისკების შემცირებისათვის, მნიშვნელოვანია ახალი კორონავირუსის შესახებ სწორი ინფორმაციის ფლობა და სათანადო სიფრთხილის გამოჩენა, მისი პრევენციისა და გავრცელების თავიდან არიდების მიზნით.

**ახალი კორონავირუსის სიმპტომების გამოვლენისთანავე მნიშვნელოვანია დარჩეთ სახლში და დარეკოთ ნომერზე: (032) 2 509 111 ან/და 112**

**დაუკავშირდით: ქვედანაყოფის მორიგეს, მორიგე ექიმს ან უშუალო მეთაურს/უფროსს;**

**სამედიცინო დეპარტამენტის ცხელ ხაზს - 577 39 50 40;**

**შიდა 21-33;**

**(32)291 03 71.**

ახალი კორონავირუსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ოფიციალურ საიტზე - [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge).

**ახალი კორონავირუსის სიმპტომები:** ხველა, ტემპერატურა 38<sup>0</sup> და მეტი, სუნთქვის გაძნელება.

დაავადება, ხშირ შემთხვევაში, მიმდინარეობს მსუბუქად, თუმცა გართულებისას შესაძლოა გამოიწვიოს პნევმონია (ფილტვის ანთება), სუნთქვის გაძნელება და სხვადასხვა ორგანოების ფუნქციის მოშლა.

**რა უნდა იცოდეთ ახალი კორონავირუსის (COVID - 19) შესახებ:**

- დაავადება ვრცელდება ჰაერწვეთოვანი გზით (ადამიანიდან ადამიანზე), დაახლოებით 2 მეტრის რადიუსში კონტაქტის შემთხვევაში;
- დაავადება ვრცელდება დაინფიცირებული პირის ხველების ან ცემინების დროს (შხეფები) სხვა პირთან კონტაქტით;
- დაავადების გავრცელების რისკი იმატებს იმ პირთან კონტაქტისას, რომელსაც აქვს ვირუსის ძლიერად გამოხატული სიმპტომები;

- დაავადება შესაძლოა გავრცელდეს იმ პირისგან, რომელსაც ჯერჯერობით არ აქვს დაავადების გამოხატული სიმპტომები (თუმცა, ასეთ დროს გავრცელების რისკი მცირეა);
- დაავადება შესაძლოა გავრცელდეს იმ საგნებთან კონტაქტისას (საგნებზე შეხების შემდეგ, ხელით ლორწოვან გარსზე კონტაქტის შემთხვევაში), რომლითაც სარგებლობს უკვე დაავადებული პირი (თუმცა, ასეთ დროს გავრცელების რისკი მცირეა).

**დაავადების სიმპტომების გამოვლენისთანავე  
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებს ევალუბათ:**

- დარჩნენ სახლში;
- დაუყოვნებლივ დარეკონ ნომერზე - (032) 2 509 111 ან/და 112;  
577 39 50 40; შიდა 21-33; (32)291 03 71.
- ვირუსის სიმპტომების გამოვლენის შესახებ, შეატყობინონ ქვედანაყოფის მორიგეს, მორიგე ექიმს ან უშუალო მეთაურს/უფროსს და იმოქმედონ მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად (577 39 50 40 - სამედიცინო დეპარტამენტის ცხელი ხაზი);
- გაიკეთონ პირბადე და შეწყვიტონ პირდაპირი კონტაქტი სხვა პირებთან, მათ შორის, ოჯახის წევრებთან, ასევე შინაურ ცხოველებთან;
- არ დაუშვან სხვა პირების მიერ მათი პირადი ნივთების გამოყენება (ჭიქა, თევში, კოვზი და ა.შ.);
- მუდმივად გაასუფთაონ საპნიანი წყლითა ან/და სადეზინფექციო ხსნარით (შესაძლებელია სპირტიანი ბამბის გამოყენება) ხშირად გამოყენებადი პირადი ნივთები.

**რეკომენდაციები ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით:**

იმის გათვალისწინებით, რომ ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ სპეციალური ვაქცინა ან პრეპარატი, ამ ეტაპზე, არ არის შემუშავებული, მნიშვნელოვანია ყოველდღიური პრევენციული ღონისძიებების გატარება ინფექციის გავრცელების თავიდან ასარიდებლად. რეკომენდირებულია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებმა და მათი ოჯახის წევრებმა, ვირუსული ინფექციის პრევენციის მიზნით:

- რეგულარულად დაიბანონ ხელები თბილი წყლითა და საპნით, გამოიყენონ ხელის სადეზინფექციო საშუალებები და ერთჯერადი ხელსახოცები;
- ხელის დაბანამდე მოერიდონ ზედმეტ შეხებას თვალის, ცხვირის და პირის (ლორწოვანი გარსი) არეებთან;

- დაიცვან ხველისა და ცემინების ეტიკეტი, რაც გულისხმობს ხველისა და ცემინების დროს ჰიგიენური ხელსახოცის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პირბადის გამოყენებას;
- აარიდონ თავი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და ახლო კონტაქტს (გადაკოცნა, ხელის ჩამორთმევა), მათ შორის, დაავადებულ პირებთან;
- მიიღონ ფიტონციდებითა და ვიტამინებით მდიდარი საკვები (ბოსტნეულის სალათები თერმული დამუშავების გარეშე, ხახვი, ნიორი, მწვანილი, ხილი და ციტრუსები), ასევე დიდი რაოდენობით სითხეები;
- მუდმივად გაასუფთაონ საპნიანი წყლით ან/და სადეზინფექციო ხსნარით (შესაძლებელია სპირტიანი ბამბის გამოყენება) ხშირად გამოყენებადი პირადი ნივთები.